განათლების მეცნიერებები

სამაგისტრო პროგრამა

1. განათლების მართვა – ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლები
   Educational Management - General and Higher Educational Institutions

კურსი სტუდენტებს ეხმარება შეიძინონ ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი სასწავლებლების მართვასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების კრიტიკული ანალიზისა და სირთულეების დაძლევის უნარი; განივითარონ განათლების კვლევის მართვასთან დაკავშირებული უნარები; ეფექტურად დააკავშირონ პრაქტიკა და თეორია ერთმანეთთან.
კურსი ზოგადად მიმოიხილავს განათლების მართვის თეორიებსა და მოდელებს, მიუთითებს განათლების თანამედროვე მოთხოვნებზე, განიხილავს განათლების რეფორმის გლობალურ და ლოკალურ რეფორმებს და მათ გავლენას გადაწყვეტილებების მიღებისა და განათლების მართვის პროცესზე. კურსის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება ეძლევათ განიხილონ პრაქტიკული მაგალითები როგორც საქართველოს, ასევე საერთაშორისო საგანმანათლებლო პრაქტიკიდან.

2. განათლების ეკონომიკა და სახელმწიფო პოლიტიკა
   Education Economics and State Policy

კურსი ზოგადად მიმოიხილავს განათლებასა და ეკონომიკური განვითარებას შორის არსებულ გავლენასა და კავშირებს, შეისწავლის განათლებაზე დახარჯული სახელმწიფო და კერძო ფინანსების ეფექტიანობის პოლიტიკას. სალექციო კურსი შედგება სხვადასხვა თემისაგან, როგორებიცაა, მაგალითად, უმაღლესი განათლების გავლენა ეკონომიკურ განვითარებაზე, განათლებაში ჩადებული ინვესტიციის ხარჯ-სარგებლიანობა, ადამიანური კაპიტალის მნიშვნელობა ქვეყნის განვითარებაში, განათლების რეფორმის პოლიტიკის ეკონომიკური ასპექტი, "ტვინების გადინების" მიზეზები და შედეგები, საერთაშორისო ორგანიზაციების სტრატეგია, „სესხება-გასესხების" გლობალური პოლიტიკის თეორიის ანალიზი და სხვ.

3. განათლების მენეჯმენტი (პრაქტიკული)

   Education Management (Practical Course)

კურსი აცნობს მაგისტრანტებს განათლების მენეჯმენტის საგნის შინაარსს, მიზნებს და განხორციელების გზებს საშუალო სკოლაში. მაგიტსატრნტებს განუვითარებს ტექნიკური და ადამიანური რესურსების მართვის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს.

4. განათლების სისტემები და მათი აგების სამართლებრივი საფუძვლები

Educational Systems and their Legal Foundations

კურსი აცნობს სტუდენტებს განათლების სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ, კონსტიტუციას, კანონს "ზოგადი განათლების შესახებ", ეროვნულ სასწავლო გეგმას (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისათვის), ნორმატიულ აქტებს, აგრეთვე ზოგადი განათლების მართვას და იმ ცვლილებებს, რომელიც ტარდება ქვეყანაში განათლების სფეროში იმისათვის, რომ სწავლების შედეგი აკმაყოფილებდეს სახელმწიფოს მოთხოვნას.

5. განათლების ფილოსოფია

Philosophy of Education

კურსი განსაზღვრავს, თუ როგორ აისახება ფილოსოფიური აზრი პედაგოგიკის პრაქტიკაში, აღზრდისა და განათლების ცნებათა კონცეპტუალიზაციას. აღზრდისა და განათლების საკითხების ფილოსოფიის ისტორიის ჭრილში განხილვით მაგისტრანტები გაეცნობიან ანტიკური შუა საუკუნეების, რენესანსის, ახალი და უახლესი დროის ფილოსოფოსთა შეხედულებებს ადამიანის აღზრდის კომპლექსური ხასიათისა და ფორმების შესახებ. მიიღებენ ღრმა ცოდნას ფილოსოფიის ფუნდამენტური ცნებების, ფილოსოფიის იმ ზოგადმეთოდოლოგიური პრინციპების შესახებ, რასაც პედაგოგიკა იყენებს ადამიანის აღზრდის, განათლებისა და პიროვნებდ ჩამოყალიბების საქმეში. სასწავლო–სემინარულ მეცადინეობებზე, დისკუსიებში აქტიური მონაწილეობა მაგისტრანტს მისცემს კრიტიკული შეფასების, საკუთარი პოზიციის ნათლად და არგუმენტირებულად გამოხატვის უნარ-ჩვევების გამომუშავების საშუალებას.

6. განათლების ფსიქოლოგია

Psychology of Education

კურსი შეასწავლის განვითარებისა და სწავლის ძირითად თეორიებს; ბავშვის კოგნიტური, ფსიქო-სოციალური და ფიზიკური განვითარების ძირითად კანონზომიერებებს; სტუდენტი დაეუფლება ძირითად ფსიქოლოგიურ ცნებებს და მიღებულ თეორიულ ცოდნას გამოიყენებს პრაქტიკულად.

7. მათემატიკური სტატისტიკა– მონაცემთა ანალიზი
Mathematical Statistics – Data Analysis
კურსი შეასწავლის მათემატიკური სტატისტიკის ის საკითხები, რომელიც აუცილებელია პედაგოგიური კვლევების ჩატარებისა და მონაცემების დამუშავებისათვის მომავალი პრაქტიული საქმიანობის პროცესში. კურსი შეასწავლის სტუდენტებს ინფორმაციის მოძიებას, მათ ანალიზს და თვალსაჩინოდ წარმოდგენას. სტუდენტები მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკულად და თავს გაართმევენ დაუგეგმავ სიტუაციებში წამოჭრილ საკითხებს.

8. მულტიკულტურული განათლება
Interculchural Education
კურსი შეასწავლის სტუდენტს მულტიკულტურული განათლების თეორიები და პრაქტიკა, მულტიკულტურული განათლების როლი თანამედროვე განათლების სისტემაში, მისი მიზნები და ამოცანები, ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების ეტაპები და სტრატეგიები, ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების შეფასებისმეთოდებს.

9. პედაგოგიური კვლევის მეცნიერული მეთოდები

Scientific Methods of Pedagogical Research

კურსი შეასწავლის პედაგოგიური კვლევის მეთოდებს; პედაგოგიური კვლევის კლასიკურ და თანამედროვე მეთოდების ერთობლიობას; სტუდენტები შეძლებენ პედაგოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით შეასრულონ სამაგისტრო ნაშრომი.

10. პედაგოგიკა

Pedagogy

სტუდენტი საფუძვლიანად შეისწავლის ზოგად პედაგოგიკას; პედაგოგიკის ძირითადი კატეგორიის – აღზრდის მიზნისა და ამოცანების მიმართებას ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებასთან; სტუდენტები გააანალიზებენ აღზრდის, განათლებისა და სწავლების მნიშვნელობას პიროვნების ფორმირების პროცესში; შეისწავლიან დიდაქტიკას – განათლებისა და სწავლების თეორიას.

11. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება
Evaluation of Educational Pograms
კურსი გააცნობს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების ფორმებს; საერთაშორისო გამოცდილებას პროგრამების შეფასებასა და სტანდარტებთან მიმართებაში.

12. სასწავლო პროცესის ჰიგიენა
Hygiene of Study Process
კურსი შეასწავლი სტუდენტებს სწავლების პროცესში მოზარდის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზებისთვის აუცილებელ პირობებს. კურსის გავლის შემდეგ სტუდენტმა იცის რა სახის სომატური და ფსიქიკური დაავადებები შეიძლება განუვითარდეს მოზარდს სწავლების პროცესის ჰიგიენური ნორმების დარღვევის შემთხვევაში. მას შეეძლება სწავლების პროცესში პროფილაქტიკური ზომების მიღება ამ დაავადებათა თავიდან აცილების მიზნით.

13. საუნივერსიტეტო განათლების განვითარების თანამედროვე ტენდენციები
Modern Trends in the Development of University Education
კურსი გააცნობს და შეასწავლის სტუდენტებს საუნივერსიტეტო განათლების განვითარების ეტაპებს, უმაღლესი სკოლის მიზანს ისტორიულ და თანამედროვე ჭრილში, დღესისათვის უმაღლესი განათლების სფეროში მიმდინარე პროცესებს;
კურსის გავლის შემდეგ სტუდენტმა იცის უმაღლესი სკოლის განვითარების ეტაპები, დღეისათვის მიმდინარე პროცესები და თანამედროვე შეხედულებები. დამოუკიდებლად შეძლებს საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე ცვლილებებთან დაკავშირებული უახლესი მასალის მოძიებას, დამუშავება და დასკვნების გამოტანას.

14. შედარებითი პედაგოგიკა

Comparative Pedagogy

კურსის შეასწავლის სტუდენტებს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესების განვითარების ტენდენციებს და კანონზომიერებებს, ასევე ამა თუ იმ ქვეყნის განათლების სისტემის მოდელებს.

15. სოციალური პედაგოგიკა

Social Pedagogy

კურსი შეასწავლის შეისწავლის სოციალური აღზრდის ნიუანსებს ცხოვრების მთელ პეროიდში. მისი შესწავლით მომავალი პედაგოგი უნდა გაერკვეს როგორც ორგანიზებული, ისე სტიქიური მოვლენებით და აღავსე რეალობის ზეგავლენაზე პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში. აღიქვას სოციალური აღზრდა, როგორც საოჯახო, რელიგიური კორექციული აღზრდის თანაბარი მოვლენა. კურსის მიზანია მომავალი სპეციალისტი ერკვეოდეს, რა როლს თამაშობს სხდასხვა ცხოვრებისეული მოვლენების გვერდით სახელმწიფო, რეგიონალური, მუნიციპალური და ლოკალური აღზრდის სისტემები, რა როლს თამაშობს სოციალიზაციის მიმდინარეობისას მეგა, მაკრო, მეზა და მიკრო ფაქტორები.

16. თანამედროვე საგანამანათლებლო ტექნოლოგიები

Contemporary Educational Technologies

კურსი შეასწავლის თანამედროვე საგანმანათლებლო ტექნოლოგიების შინაარსს, განხორციელების გზებსა და ხერხებს, სწავლება–სწავლის პედაგოგიურ ტექნოლოგიებს.

17. უმაღლესი განათლების პოლიტიკა

Higher Education Policy

კურსი შეუქმნის სტუდენტებს მყარ საფუძველს უმაღლესი განათლების სისტემებში მიმდინარე ცვლილებების ანალიზისათვის. კურსი აქცენტს აკეთებს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა სახელმწიფოს, უმაღლესი განათლების დაწესებულებებს, საგანმანათლებლო ბაზარსა და საზოგადოებას შორის ურთიერთობები.

18. უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა

Pedagogy in a Higher School

კურსი აძლევს უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის შესახებ აუცილებელ თეორიულ და მეთოდურ ცოდნას. აქცენტი გაკეთდება ისეთ წამყვან თემებზე, როგორიცაა უმაღლესი სკოლის პედაგოგიკის, როგორც მეცნიერების შექმნა და განვითარება; მისი წყაროები და ცნებები; მეცნიერული კვლევის მეთოდები; ჭაბუკის ასაკის ფსიქოლოგიურ-ეთიკური თავისებურებანი; სწავლების სპეციფიკა; სწავლების ორგანიზაციის ფორმები; პირველკურსელის პრობლემა; სწავლების პრინციპები და მეთოდები; შემეცნებითი უნარების აქტივიზაციის გზები.

19. ხარისხის უზრუნველყოფა უმაღლეს სკოლაში

Quality Assurance in Higher Education

კურსი შეასწავლის უმაღლეს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზრვრულ აკრედიტაციის ნორმებსა და საფეხურებს.

20. ზრდასრულთა განათლების საკითხები

Issues of Adult Education

კურსი შეასწავლის ზრდასრულთა განათლების საფუძვლებს, მაგისტრანტი გააცნობიერებს ზრდასრულთა განათლების აუცილებლობას შრომითი მოწყობის პროცესში. შეძლებს განასხვაოს ცნებები _ "უწყვეტი განათლება" და "ზრდასრულთა განათლება"; შეასწავლის ზრდასრულთა განათლების ისტორიას, საერთაშორისო დოკუმენტაციებსა და საკანონმდებლო ბაზას ზრდასრულთა განათლების საკითხებში, ზრდასრულთა განათლების თანამედროვე ტექნოლოგიებს რამდენიმე ქვეყნის მაგალითზე, საქართველოში არსებულ ვითარებას.

21. პროფესიული პრაქტიკა

Proffesuional Practice

სასწავლო პროფესიული პარქტიკა უმაღლეს საგანამათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მომზადების ერთ–ერთი მნშვნელოვანი ასპექტია. პროფესიული პრაქტიკის მიზანია შეასწავლოს მაგისტრანტებს თანამედროვე ტექნოლოგიების პრაქტიკული გამოყენება, მიიღონ სტუდენტებმა სამუშაო გარემოსა და საქმიან ურთიერთობებში პრაქტიკული გამოცდილება. ისინი სასწავლო პროცესში მიღებულ ცოდნას გამოიყენებენ პრაქტიკაში და გამოიმუშავებენ ახალ კომპეტენციებს. კერძოდ, სტუდენტებს განუვითარდებათ საგანანამთებლო სისტემის აგების სამართლებრივ–ნორმატიული აქტების, ზოგადი განათლების კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის, აგრეთვე საგნობრივი გეგემების პრაქტიკაში განხორცილების უნარები.